15
მაისი
სამშაბათი,
1962 წ.
№ 94 (1945)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.



მსოფლიო ჩემპიონატის წინ

მოსკოვში დამთავრდა საბჭოთა კავშირის პირად-გუნდური პირველობა სპორტულ ტანვარჯიშში, რომელიც მიეძღვნა გაზეთ „პრავდის“ 50 წლისთავს.

მკითხველისათვის უკვე ცნობილია, რომ მრავალჭიდში ვაჟთა შორის გამარჯვებული გამოვიდა ბ. შახლინი. შეჯიბრების მომდევნო დღეს გამოირკვა თასის მფლობელი ქალთა შორისაც. რსფსრ-ს გუნდის წარმომადგენელმა ი. პერვუშინამ, რომელიც სავალდებულო პროგრამის შემდეგ მიდიოდა მეორე ადგილზე, გადაუსწრო ლიდერს — ბელორუსელ ე. ვოლჩეცკაიას და 77 ქულით გამარჯვება მოიპოვა მრავალჭიდში. ამასთან, ი. პერვუშინამ მოიპოვა „პრავდის“ პრიზიც ნებისმიერი ვარჯიშების სრულყოფილად შესრულებისათვის — 38,8 ქულა. აღსანიშნავია თასის მფლობელის ბრწყინვალე გამოსვლა თავისუფალ ვარჯიშში, რომელშიც მან დაიმსახურა 9,9 ქულა. უკანასკნელ ვარჯიშში ამ მაღალი შეფასების მეოხებით მან შორს გაუსწრო ლ. ლატინინას, რომელიც ბოლო ვარჯიშამდე მხოლოდ 0,05 ქულით უთმობდა ლიდერს. ლ. ლატინინამ და ე. ვოლჩეცკაიამ მრავალჭიდში დააგროვეს ქულათა თანაბარი რაოდენობა — 76,5.

კვირას გათამაშდა უძლიერესთა წოდებანი ცალკეულ იარაღებზე. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გუნდის წევრი — მ. ბოგუსი არა მარტო გავიდა ფინალისტთა შორის რგოლებზე ვარჯიშში, არამედ სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების ჯამში (19,05 ქულა) მეორე იყო ვ. კერდემელიდის შემდეგ.

ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის — ბორის შახლინის ტრიუმფით აღინიშნა ბრძოლები ცალკეულ იარაღებზე გამარჯვებისათვის. უკანასკნელ დღეს იგი ოთხ იარაღზე გამოდიოდა ფინალისტთა შორის და მათგან სამში მიაღწია გამარჯვებას. ბ. შახლინმა ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა ბჯენით ხტომებში, ორძელზე და ტაიჭზე ვარჯიშში. კიდევ ერთხელ თქვა თავისი სიტყვა ა. აზარიანმა რგოლებზე ვარჯიშში. ფინალში მან ამ იარაღზე ყველაზე მაღალი შეფასება დაიმსახურა — 9,75 ქულა — გაუსწრო ლიდერებს და მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

შესანიშნავი იყო მოსკოველი პ. სტოლბოვის ვარჯიში ღერძზე, რომელიც თითქმის აბსოლუტური „სისუფთავით“, უშეცდომოდ იქნა შესრულებული. ისევე, როგორც ნებისმიერი ვარჯიშების დროს, პ. სტოლბოვმა ამ ვარჯიშში მიიღო 9,9 ქულა და მასთან ერთად — ჩემპიონის ოქროს მედალიც.

პირველად გახდა ოქროს მედლის მფლობელი რსფსრ-ს გუნდის ახალგაზრდა წარმომადგენელი, 24 წლის ე. გრომოვი. ფინალისათვის თავისუფალ ვარჯიშში მას, ისევე როგორც ი. ცაპენკოსა და ი. იაზოვსკიხს, ჰქონდა 19,15 ქულა და მათთან ერთად იყოფდა I-II-III ადგილებს. ფინალში მან გაუსწრო ორივე მეტოქეს და პირველი ადგილი დაიკავა.

გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებული გამოვიდა მოსკოვის ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი, რომელსაც გადაეცა „პრავდის“ პრიზი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

უკანასკნელი სამზადისი

დასასრულს უახლოვდება ჩილის ფინალისტთა სამზადისი. ზოგიერთი გუნდი უკვე მიემგზავრება ფინალური ტურნირის ადგილას, სადაც ჩაატარებს თავის უკანასკნელ საწვრთნელ შეხვედრებს.

ბრაზილიის ფეხბურთელებმა ამ დღეებში ჩაატარეს კიდევ ორი საკონტროლო მატჩი. რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანას“ სტადიონზე ისინი განმეორებით შეხვდნენ პორტუგალიის გუნდს და გამარჯვებას მიაღწიეს პელეს მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით. ამის შემდეგ ბრაზილიელები შეხვდნენ უელსის ნაკრებს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:1.

საყოველთაო ყურადღების ცენტრში იდგა იტალიისა და ბელგიის ნაკრები გუნდების მატჩი. იგი მოიგეს იტალიელებმა ანგარიშით 3:1.

მინიმალური ანგარიშით — 1:0 დამთავრდა კოლუმბიის ნაკრებისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკლუბო გუნდის — „კარლსრუეს“ შეხვედრა.

გ. ბაკშეევა და ა. მეტრეველი — უძლიერესნი

შემთხვევითი არ იყო ის ფაქტი, რომ მოზარდ ჩოგბურთელთა საერთაშორისო საგაზაფხულო ტურნირის ჩატარების ორგანიზატორებმა შეჯიბრების ადგილად თბილისის „დინამოს“ კორტები აირჩიეს. ამ შეჯიბრებათა ისტორიის მანძილზე (ტურნირებს დასაბამი მიეცა 1958 წელს) ჩვენი ჩოგბურთელები უცვლელად იყვნენ პრიზიორთა რიგებში, ხოლო გასულ წელს ნ. მძინარიშვილსა და ა. მეტრეველს შესაბამისად ეკავათ პირველი და მეორე ადგილი.

წელს მძინარიშვილმა მოზრდილებში გადაინაცვლა და ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელებიდან ფავორიტად ა. მეტრეველი რჩებოდა, რომელსაც ძალთა გამოცდა ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და რუმინეთის საუკეთესო სპორტსმენებთანაც უნდა ჩაეტარებინა, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა ჩოგბურთელებზე.

ერთი პირველი ადგილი წყვილთა თამაშებში მეტრეველს უკვე განაღდებული ჰქონდა, როცა ერთეულთა ფინალში ჩეხი შ. კოუდელკას პირისპირ დადგა.

პირველი ორი პარტია მართალია მოიგო მეტრეველმა, მაგრამ მესამე პარტიაში ყურადღების ოდნავი მოდუნება საკმარისი აღმოჩნდა, რომ სტუმარს პარტიის ბედი თავის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. ამან მეტრეველის „მიძინებული რეაქცია“ გამოაფხიზლა და მომდევნო პარტიის მშრალ ანგარიშზე მოგებით ქართველმა ჩოგბურთელმა მეორე პირველი ადგილიც მოიპოვა.

გოგონათა ფინალური შეხვედრა არაფრით არ განსხვავდებოდა გასული წლის შეჯიბრებისაგან. ფინალში ძველი მეტოქეები კიეველი გ. ბაკშეევა და ესტონელი მ. კული გავიდნენ. გამოცდილმა ბაკშეევამ კარგად გამოიყენა ტალინელი სპორტსმენის „აქილევსის ქუსლი“ — მოკლე, სუსტი დარტყმები მარცხენა მხრიდან. ბაკშეევა ადვილად იგერიებდა მოედნის ცენტრში დავარდნილ ბურთებს და ბადესთან გასვლით გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა მოწინააღმდეგეს. მსოფლიოს არაოფიციალურმა ჩემპიონმა მოზარდთა შორის ორივე პარტია მოუგო კულს და მეტრეველის მსგავსად ორი პირველი ადგილის მფლობელი გახდა.

რჩებოდა კიდევ ერთი ადგილი და ბაკშეევა-მეტრეველის წყვილმა მისი დაკავებაც გადაწყვიტა. მათ მოწინააღმდეგეებად ამჯერად მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში ნაცადი ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენების ა. პროხოვასა და ი. ვოპიჩკას წყვილი გამოვიდა.

ჩვენმა ჩოგბურთელებმა აშკარად ვერ შეაწყვეს „ხმები“ პირველ პარტიაში და დამარცხდნენ 4:6. მეორე პარტიაში სტუმრებს დაღლა დაეტყოთ და მათთვის უკვე ძნელი ამოცანა გახდა ბაკშეევას მიერ კუთხეებში ჩაწოდებული ბურთების აღება. მომგებიანი ქულით მთავრდებოდა მეტრეველის ხშირი გასვლები ბადესთან. მოკლედ, ბაკშეევა-მეტრეველის წყვილმა „იპოვა“ თავისი ადგილი კორტზე და შეხვედრის ბედი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ჩოგბურთელთა საერთაშორისო ისტორიაში იშვიათი მოვლენაა ერთი ჩოგბურთელის გამარჯვება სამივე სახეობაში. ამჯერად კი უჩვეულო ხვედრის მფლობელი ორი საბჭოთა სპორტსმენი კიეველი გ. ბაკშეევა და თბილისელი ა. მეტრეველი აღმოჩნდა.

გ. სამსონაძე

• • •

სურათებზე: ზევით — ა. მეტრეველი, ქვევით — გ. ბაკშეევა.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

საბჭოთა ძიუ-დოისტები — მესამე ადგილზე

ესენში (გფრ) დამთავრდა ევროპის პირველობის გათამაშება ძიუდოში, რომელშიც მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის გუნდიც. ჩვენმა მოჭიდავეებმა თანმიმდევრულად დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიისა და ინგლისის ძიუ-დოისტები. დაძაბული ბრძოლით აღინიშნა საბჭოთა კავშირისა და ჰოლანდიის გუნდების გამოსვლა. პირველი შეხვედრა ა. კიკნაძემ მოიგო ქულებით. შემდეგ, მსოფლიოს ჩემპიონმა გეეზინგმა წმინდად მოუგო დ. ბერუაშვილს. მესამე წყვილის შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ფრე. გუნდური გამარჯვება მიენიჭა ჰოლანდიას, რომელსაც ერთი შეხვედრა წმინდად ჰქონდა მოგებული.

თავის მხრივ ჰოლანდიელები დამარცხდნენ ფრანგებთან შეხვედრაში. ამრიგად, ევროპის ჩემპიონი გახდა საფრანგეთის გუნდი. მეორე ადგილზე გამოვიდა ჰოლანდიის, მესამეზე — საბჭოთა კავშირის სპორტსმენთა კოლექტივი.

პირად პირველობაზე მოყვარულთა შორის მონაწილეობას იღებდნენ ა. ქიბროწაშვილი (მეორე დანის მოჭიდავეთა შორის) და ა. კიკნაძე (აბსოლუტურ პირველობაზე, რომელიც აერთიანებს ყველა დანს). ორივე ქართველმა მოჭიდავემ წარმატებით ჩაატარა შეხვედრები და მოიპოვა ჩემპიონის წოდება.

გ. საიდხუჟინი კვლავ ლიდერია

მშვიდობის მრავალდღიანი ველორბოლის IX და X ეტაპებმა არ შეცვალეს მდგომარეობა ლიდერთა შორის. 186-კილომეტრიანი ეტაპი გოტვალდოვო-ოსტროვა მოიგო ბელგიელმა დებრეკერმა.

ბელგიელთა უპირატესობით აღინიშნა რბოლის X ეტაპი: ოსტროვა-ოპალე. ათი ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებლად მიდის წინ საბჭოთა კავშირის გუნდი. პირად ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებს საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის კაპიტანი გ. საიდხუჟინი.



სურათზე: საბჭოთა ველომრბოლელი გ. საიდხუჟინი (მარცხნივ) და ბ. ეკშტეინი (გდრ) ერთ-ერთი ეტაპის დამთავრების შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბირთვის კვრაში მაღალი შედეგებისათვის

მწვრთნელთა დასახმარებლად

ბირთვის კვრის თანამედროვე ტექნიკის ათვისების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს საუკეთესო ბირთვის მკვრელების საწვრთნო მეცადინეობებსა და შეჯიბრებებზე დასწრებას, დაკვირვებას, კინოგრამების გარჩევასა და მათ სწორად გაგებას.

როგორც ცნობილია, მძლეოსნურ ტყორცნებში (ბადრო, ბირთვი, ურო, შუბი) მაღალი სპორტული შედეგის მიღწევა დამოკიდებულია იარაღის გატყორცნის საწყის სიჩქარეზე.

საწყისი სიჩქარის გაზრდისათვის მტყორცნელმა მძლეოსნური წესდებით განსაზღვრულ არეში დიდი სისწრაფე უნდა განავითაროს და ბირთვის კვრის მომენტში დაიკავოს ისეთი მოხერხებული მდგომარეობა, რომ შეძლოს მთელი ძალის მაქსიმალურად გამოყენება. ამასთან ამ მუშაობაში თანმიმდევრობით უნდა ერთვებოდეს კუნთების ცალკეული ჯგუფები, ჯერ მასიური კუნთები, ხოლო შემდეგ მცირე ჯგუფის კუნთები, რომელთაც უფრო სწრაფი მოქმედების უნარი აქვთ.

კუნთების მუშაობაში თანმიმდევრობით ჩართვის და გამორთვის ჩვევის დაუფლება დამახასიათებელია მაღალი კლასის ოსტატებისათვის. ბირთვის კვრის თანამედროვე ტექნიკის ფუძემდებლად ყოფილი მსოფლიო რეკორდსმენი პ. ობრაიენი (აშშ) ითვლება. აი რას წერს პ. ობრაიენი თავისი დღის რეჟიმის შესახებ: მეცადინეობას ვიწყებდი ნელი ტემპით 800 მეტრის გარბენით, რომლის დროს ვასრულებდი დიდი მოცულობის სხვადასხვა მოსამზადებელ ვარჯიშებს. გარდა მოთელვისა ეს ვარჯიშები ისეთ ფიზიკურ თვისებებსაც ანვითარებს, როგორიც არის ძალა, მოქნილობა, კოორდინაცია და სხვ. მცირე შესვენების შემდეგ 2-3-ჯერ გავრბოდი 100 მეტრს სწრაფ ტემპში, რის შემდეგ დიდი რაოდენობით ვკრავდი ბირთვს როგორც ტექნიკაზე, ისე შედეგზე. ბირთვის კვრის დამთავრების შემდეგ განვაგრძობდი ვარჯიშს ხტომებში, რბენებში და კვლავ ვუბრუნდებოდი ბირთვის კვრის ტექნიკის დახვეწაზე მუშაობას.

პ. ობრაიენი თითქმის ყოველდღე სპეციალურად ვარჯიშობდა შტანგით. მას შეუძლია აწიოს, აიტაცოს, აკრას და ჩაუჯდეს დიდ სიმძიმეებს.

საინტერესოა კიდევ ერთი ფაქტი, როცა ვ. ოვსეპიანმა საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში, მაშინ ამ წარმატების საიდუმლოება ასე ახსნა: სრულწლიური წვრთნის გარდა შეჯიბრებამდე სამი თვით ადრე დაუწყია სპეციალური ვარჯიშები დღეში სამჯერ: დილით — მცირე მუშაობა შტანგით, 1-2 საათზე (ამ დროს ტარდებოდა ფინალი ბირთვის კვრაში) — მოკლე მანძილებზე რბენებში, ხტომებში, საღამოს — ვარჯიში ბირთვის კვრის ტექნიკაზე. ბირთვის კვრის შემდეგ კვირაში სამ დღეს უთმობდა სპეციალურ წვრთნას შტანგით, სიმძიმეებით.

მოგვყავს ობრაიენის წახტომით ბირთვის კვრის ტექნიკის კინოგრამა, ანალოგიურად იმავე პრინციპით კრავს ბირთვს მსოფლიო რეკორდსმენი ბ. ნიდერიც. ორივე ბირთვის მკვრელს წახტომით ბირთვის კვრის დაწყებამდე ზურგი მიმართული აქვთ ტყორცნის მიმართულებისაკენ და წახტომის პროცესში ბირთვის კვრის წრიდან წინ, 3-4 მეტრის დაშორებით მიწაზე ჯვარის სახით აღნიშნულ ნიშანს უყურებენ, რომ წახტომის დამთავრების შემდეგ ზურგით მოხვდნენ ტყორცნის მიმართულებისაკენ და ნაადრევად არ მობრუნდნენ მარცხნივ.

ისინი წახტომისათვის მოძრაობას იწყებენ ზეტანის გამართვით, მარცხენა ფეხის აქნევით, ოდნავ წელის არეში უკან გაზნექით (კადრი 1), შემდეგ იხრებიან წინ. სხეული, მარცხენა ფეხი და ხელი გაშლილი აქვთ ჰორიზონტალურად დედამიწის მიმართ (კადრი 2, 3), ნიდერს უფრო ნაკლებად (ნიდერი დიდი ტანის და ძალის მქონეა). ამ დროს ზეტანი წრის გარეთ გამოდის, რითაც წრეში მოქმედების არე დიდდება. შემდეგ სპორტსმენი მარჯვენა თეძოს აწევა მუცლით, ხრის მარჯვენა ფეხს, თითქმის სწორკუთხემდე, ზურგს არ ხრის, ამასთან ერთად მარცხენა ფეხს ხრის მუხლის სახსარში, უშვებს დაბლა, უახლოვდება მარჯვენა ფეხს (პ. ობრაიენი ამ მოძრაობას კარგად ასრულებს), დაბლა უშვებს მარცხენა ხელსაც (კადრი 4-5). ამ მომენტიდან იწყება დაცურებითი წახტომი უკან, ტყორცნის მიმართულებისაკენ. წახტომი სრულდება მარჯვენა და მარცხენა ფეხის გამართვით (კადრი 5, 6, 7). გამართვის შემდეგ მარჯვენა ფეხი მოიზიდება და მუხლის სახსარში მოხრილი მდგომარეობით დგამენ დაახლოებით წრის ცენტრში, სწრაფადვე დგამენ მარცხენა ფეხსაც. წახტომით მოძრაობის შესრულების დროს მარცხენა ფეხის მიწაზე დაბჯენამდე მარცხენა მხარსა და ხელს არ აბრუნებენ მარცხნივ (კადრი 6, 7, 8, 9, 10), რითაც თავს იცავენ ზეტანის ნაადრევად მობრუნებისაგან, რაც დიდ გავლენას ახდენს ბირთვის კვრის შედეგზე.

წახტომის შემდეგ ბირთვის მკვრელი აღმოჩნდება თითქმის ზურგით ტყორცნის მიმართულებისაკენ, მუხლის სახსარში მოხრილი ფეხებით და გადმოხრილი ბირთვის კვრის საწინააღმდეგო მიმართულებით (კადრი 10, 11). კვრისათვის გამართვითი მოძრაობა იწყება მარჯვენა მუხლის ტყორცნის მიმართულებით მობრუნებით, წელის და მუხლების გამართვით, ზეტანი ბრუნავს უკან გადმოხრილი მდგომარეობით, მარცხენა ფეხისა და მხრის ირგვლივ (კადრი 11, 12, 13, 14). ტყორცნის მიმართულებისაკენ მობრუნების შემდეგ ზეტანი უკან გადმოხრილ მდგომარეობას ინარჩუნებს (კადრი 13, 14, 15). გამოუცდელ ბირთვის მკვრელებს ამ დროს ზეტანი ბირთვის კვრის წრის გარეთ აქვთ გადმოხრილი, რის გამო შედეგსაც ცუდს უჩვენებენ, რადგან კარგად ვერ იყენებენ მარჯვენა ფეხის ძალას.

მარჯვენა მუხლის და მენჯის ტყორცნის მიმართულებისაკენ მობრუნებით, მარცხენა ხელის უკან მარცხნივ მოქნევით ბირთვიანი ხელი უკან რჩება, რაც იწვევს მკერდის დიდი კუნთების წინასწარ დაჭიმვას. შემდეგში ისინი ძლიერად იკუმშებიან და ავლენენ დიდ ძალას (კადრი 13. 14. 15).

ფეხებისა და ზეტანის მუშაობის დამთავრებისას მუშაობაში აქტიურად ერთვება ბირთვიანი ხელი; სამთავარ მომენტში ზეტანი წამოწეულია, ოდნავ უკან გადმოხრილი (კადრი 15.16) და ბოლოს ხელის თითებისა და ფეხების ტერფების მძლავრი მუშაობით ბირთვს ვკრავთ 33-36-გრადუსიანი კუთხით.

კარგ სპორტულ ფორმაში მყოფი სპორტსმენები წახტომისა და ბირთვის კვრის პროცესში ზემოხსენებულ მოძრაობებს თანმიმდევრობით და სწორად ასრულებენ და შემდეგ რთავენ მუშაობაში ხელს ბირთვის კვრისათვის. ტექნიკას ცუდად დაუფლებული მძლეოსანი კი წახტომისთანავე მარცხნივ ბრუნდება, ერთბაშად რთავს მუშაობაში სხეულის ყველა კუნთს და შედეგსაც ცუდს უჩვენებს.

შ. კილაძე.

საქ. სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

ბათუმი

ბათუმის სპორტულ ბაზებზე მიმდინარეობს ქალაქის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები.

ამ დღეებში დამთავრდა შეჯიბრება ჭადრაკში, რომელშიც ქალაქის სკოლების 24 გუნდი მონაწილეობდა. თვითეული გუნდის შემადგენლობაში იყო სამი ვაჟი და ერთი გოგონა. გუნდები დაყოფილი იყვნენ ოთხ ჯგუფად, ხოლო ჯგუფებში გამარჯვებულებმა შექმნეს ფინალური ჯგუფი.

დასკვნითი თამაშები კარგად ჩაატარა № 9 საშუალო სკოლის გუნდმა, რომელმაც მოიგო ორი მატჩი, ერთი ფრედ დაამთავრა და მოიპოვა ქალაქის ჩემპიონის სახელი. მეორე ადგილზე გამოვიდა № 1 სკოლის გუნდი (9 ქულა), მესამეზე — მე-7 სკოლა.

გ. ჟანტურია,
ოსტატობის კანდიდატი

△

ტყიბული

რაიონის პირველობაზე ჭადრაკში, რომელშიც 20 უძლიერესი მოჭადრაკე მონაწილეობდა, გაიმარჯვა ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ლ. ბრეგაძემ — 18,5 ქულა. მეორე იყო პირველთანრიგოსანი ს. ნაცვალაძე (16,5 ქულა), მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს ვ. ბარათაშვილმა და შ. მერკვილაძემ — 14 ქულა თვითეულს.

გ. ოქრუაძე

△

ბაკურციხე

ბაკურციხეში ჩატარდა შიდასატექნიკუმო სპარტაკიადა. პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ტყვიით სროლა და ველორბოლა, ხოლო პროფილებს შორის — ფრენბურთი და კალათბურთი. სპარტაკიადაში მონაწილეობდა ტექნიკუმის თითქმის ყველა მოსწავლე.

მძლეოსნობის სხვადასხვა სახეობაში წარმატება ხვდათ წილად ნ. ნოზაძეს, ვ. მერიანაშვილს, ჯ. ჯადუგიშვილსა და სხვებს. ველორბოლაში პირველი იყო თ. ქურთიშვილი, ფრენბურთში გოგონათა შორის I-II ადგილები გაიყვეს მეფუტკრეობისა და საბუღალტრო პროფილების სპორტსმენებმა, ხოლო ვაჟთა შორის პირველი ადგილი აგრონომებმა დაიკავეს.

ლ. ბექაუშვილი

თბილისი

დამთავრდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 20 ოსტატობის კანდიდატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა. შეჯიბრება მოეწყო შვეიცარული სისტემით. ტურნირში გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ა. ბრეიტმანმა (ტყვარჩელი) — 8.5 ქულა 10-დან. მეორე ადგილი დაიკავა ქუთაისელმა ა. რაზოვსკიმ (7,5 ქულა). მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს თბილისელმა ე. გერსამიამ და ცხინვალელმა მ. ცხოვრებოვამ.

ხ. ოდიკაძე

△

ლაგოდეხი

ლაგოდეხის პიონერთა და მოსწავლეთა სახლში მოეწყო ტურნირი ნორჩ მოჭადრაკეთა შორის.

პირველობა დაისაკუთრა ლენინის საშუალო სკოლის გუნდმა. მეორე ადგილზე არიან ი. ჭავჭავაძის სახელობის ლაგოდეხის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

ი. ნადაშვილი

△

ლენინგორი

კულტსახლში ჩატარდა ლენინგორის პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 16 მოჭადრაკე მონაწილეობდა. პირველი ადგილი წილად ხვდა გ. მღებროვს (13.5 ქულა), მეორეზე გამოვიდა შ. მწითური, მესამეზე — თ. მიარაგოვი.

ა. მარგიევი

ფეხბურთის მინდვრებზე

გათამაშების ცხრილები

ძირითადი შემადგენლობა

მდგომარეობა 15 მაისისათვის

I ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	3	2	1	0	8—0	5
„ზენიტი" (ლენინგრადი)	3	2	1	0	5—1	5
სკა (როსტოვი)	3	2	1	0	5—1	5
„დინამო" (კიევი)	3	2	1	0	3—1	5
„მოლდოვა" (კიშინიოვი)	3	1	1	1	3—3	3
„კაირატი" (ალმა-ატა)	2	0	2	0	2—2	2
„შახტიორი" (დონეცკი)	2	1	0	1	1—2	2
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	3	1	0	2	3—5	2
„სპარტაკი" (ერევანი)	2	0	1	1	2—3	1
„დაუგავა" (რიგა)	3	0	0	3	0—4	0
„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	3	0	0	3	0—11	0

II ქვეჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (მოსკოვი)	3	2	0	1	11—5	4
„დინამო" (მოსკოვი)	3	1	2	0	3—1	4
„დინამო" (ლენინგრადი)	2	2	0	0	3—1	4
პახტაკორი" (ტაშკენტი)	3	1	2	0	4—3	4
„დინამო" (თბილისი)	3	1	1	1	2—2	3
„ნეფტიანიკი" (ბაქო)	3	0	3	0	0—0	3
„ტორპედო" (ქუთაისი)	3	1	1	1	5—6	3
„ავანგარდი" (ხარკოვი)	2	1	0	1	1—1	2
„ტორპედო" (მოსკოვი)	3	0	2	1	2—4	2
„ბელარუსი" (მინსკი)	3	0	1	2	1—4	1
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	2	0	0	2	2—7	0

* * *

I ქვეჯგუფი

„ზენიტი" (ლენინგრადი)-„დინამო" (კიევი) — 1:1.
„დაუგავა" (რიგა)-სკა (როსტოვი) — 0:1.
„კაირატი" (ალმა-ატა)-„სპარტაკი" (ერევანი) — 2:2.
„მოლდოვა" (კიშინიოვი)-„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 2:1.
ცსკა-„ჟალგირისი" (ვილნიუსი) — 7:0.

II ქვეჯგუფი

„პახტაკორი" (ტაშკენტი)-„ტორპედო" (მოსკოვი) — 0:0.
„სპარტაკი" (მოსკოვი)-„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) — 6:2.
„ნეფტიანიკი" (ბაქო)-„დინამო" (მოსკოვი) — 0:0.

ფრე მინსკში

მინსკი. „დინამოს" სტადიონი. 13 მაისი.

„ბელარუსი" (მინსკი)-„ტორპედო" (ქუთაისი) — 1:1 (1:1).

„ბელარუსი": ჟურავენკო; ზარემბო, მანკო, რადუნსკი; ჟუკოვი, ჟურავლიოვი; იარომკო (პოგალნიკოვი), მოზერი, ხასინი, პიშნიკი, ტოლეიკო.

„ტორპედო": ურუშაძე; ლოსაბერიძე, თორაძე, ცხოვრებოვი; მუმლაძე, ნიშნიანიძე; ჩხარტიშვილი (ჟორდანია), მიროშნიკოვი, ხაჟალია, სირაძე, ბულია.

მსაჯი კ. დემჩენკო (მოსკოვი).

◆

უკვე ის ფაქტი, რომ გუნდს პირველი ორივე მატჩი წაგებული ჰქონდა, მინსკის ფეხბურთელებს აიძულებდა შეხვედრა დებიუტანტთან ჩაეტარებინათ მთელი თავიანთი შესაძლებლობებით, მთელი მაქსიმუმით.

მასპინძლებმა მკვეთრი შეტევით დაიწყეს თამაში. უკვე მე-3 წუთზე ცენტრალურმა თავდამსხმელმა გახსნა ანგარიში — 1:0.

მიუხედავად ასეთი მარცხიანი დასაწყისისა, ქუთაისელები არ დაიბნენ და კოლექტიური, შეთანხმებული კონტრიერიშები განავითარეს. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ტორპედოელთა ნახევარდაცვამ, რომელიც მიროშნიკოვის (№ 8) აქტიური დახმარებით ენერგიულად მოქმედებდა მინდვრის შუაგულში და საჭიროების შემთხვევაში სახიფათოდ უტევდა მოწინააღმდეგის კარს.

30-ე წუთზე ქუთაისელებმა მიაღწიეს საწადელს: სირაძემ ისარგებლა მასპინძელთა დაცვის შეუთანხმებლობით და დაახლოებით 12 მეტრის მანძილიდან გაიტანა საპასუხო გოლი — 1:1.

ასეთივე დაძაბული იყო მეორე ტაიმიც. ორივე გუნდი სრული ძალით იბრძოდა გამარჯვებისათვის, მაგრამ პირველი ტაიმის ანგარიში 1:1 უცვლელი დარჩა მატჩის ბოლომდე.

ლ. გარაი,

(ჩვენი საკ. კორ.).

სსრ კავშირის თასზე

გრძელდება მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში „ბ" კლასის გუნდების მონაწილეობით.

გუშინ რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და ჯამბულის „მეტალურგის" გუნდები. მატჩი მოიგო რუსთავის გუნდმა ანგარიშით 2:0.

ერევანში თამაშობდნენ ადგილობრივი „ნაირი" და სოხუმის „დინამო". გაიმარჯვეს ერევნელებმა — 2:0.

მარცხი განიცადა ფოთის „კოლხიდამაც", რომელიც ჩიმკენტში თამაშობდა ადგილობრივ „მეტალურგთან". მატჩის ანგარიშია 3:0.

პირველი დამარცხება

ლენინგრადი. 14 მაისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ლენინგრადისა და თბილისის დინამოელთა თანაკლუბელები.

პირველ ტაიმში უპირატესობა ძირითადად ლენინგრადელებს ჰქონდათ, რომელთა თავდამსხმელმა ო. მოროზოვმა შეძლო ბურთის გატანა მოწინააღმდეგის კარში.

მეორე ტაიმში მდგომარეობა შეიცვალა. თბილისელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და მალე იამანიძემ გაათანაბრა ანგარიში — 1:1.

მე-40 წუთზე თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ო. მოროზოვმა ბურთი ჩააწოდა საჯარიმო მოედანზე, აქ უხეში შეცდომა დაუშვა კოტრიკაძემ, უდროოდ გამოვიდა წინ და კვლავ ო. მოროზოვმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი — 2:1.

თბილისელები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი; გ. სიჭინავა, ხუნდაძე; ფიფია, ხელაძე, კალოევი, იამანიძე, დათუნაშვილი.

ცეცხლის ხაზზე

სოხუმში გაიმართა აფხაზეთის პირად-გუნდური პირველობა ტყვიით სროლაში.

პისტოლეტიდან სროლაში 252 ქულის მოგროვებით პირველი ადგილი მოიპოვა ლ. ტულუმბაჯიანმა (სოხუმი). მასვე დარჩა გამარჯვება სილუეტებზე სწრაფ სროლაში — 285 ქულა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში უძლიერესი იყო ა. ლომთაძე (სოხუმი, დოსააფ-ი) — 559 ქულა. აქ მეორე ადგილზე გავიდა ა. ტკაჩენკო — 556 ქულა.

ა. ტკაჩენკომ კარგი შედეგი აჩვენა სტანდარტზე 3×20 სროლაში. მან მოაგროვა 551 ქულა და ორი ქულით გააუმჯობესა აფხაზეთის რეკორდი.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო ქ. სოხუმის კოლექტივი.

• • •

სურათზე: ა. ტკაჩენკო სროლის დროს.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

რეპეტიცია წარმატებით ჩატარდა

მოსკოვში ჩატარებული ორი ამხანაგური შეხვედრის შემდეგ უნგრელი კალათბურთელები ეწვივნენ თბილისს, სადაც გამართეს ერთი შეხვედრა ადგილობრივ სპორტსმენებთან.

როგორც ცნობილია, უნგრეთის ქალთა გუნდმა ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან წააგო ორივე მატჩი დიდი ანგარიშით. ამ შეხვედრებში სტუმრებმა ვერაფერი მოუხერხეს ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელს რ. სალიმოვას, რომლის სიმაღლე 2 მეტრს აღემატება.

თბილისში მათ არ ჰყავდათ ასეთი საშიში თავდამსხმელი, ამიტომ უნგრელებმა ითამაშეს თავისუფლად და გამოავლინეს საკმაოდ მაღალი ტექნიკური მომზადება. ის, რომ ჩვენმა კალათბურთელებმა მოიგეს შეხვედრა (68:61), არავის გაჰკვირვებია. მასპინძლები გაცილებით უფრო ზუსტნი იყვნენ დაცვაში და აგრესიულნი თავდასხმაში. მატჩის შედეგი თამაშის მსვლელობის და ძალთა შეფარდების ლოგიკური შედეგი იყო.

შემდეგ მოედანზე გამოვიდნენ ვაჟთა კოლექტივები. როგორც ცნობილია, ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო გუნდს თბილისის „დინამოს" ორიოდე კვირის შემდეგ ჩასატარებელი აქვს მეტად საპასუხისმგებლო მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასზე მოსკოვის არმიელებთან. ამიტომ ყოველი მატჩი, ყოველი შეჯიბრება ჩვენი კალათბურთელებისათვის თავისებურ რეპეტიციას წარმოადგენს.

სწორედ ამიტომ, უნგრელებთან ჩატარებული თამაში ჩვენი გუნდისათვის კარგი და სასარგებლო ვარჯიში იყო. ქართველმა კალათბურთელებმა (მათ აკლდათ წამყვანი მოთამაშეები) კარგად ჩაატარეს ეს შეხვედრა და გვიჩვენეს, რომ ისინი მონდომებით ემზადებიან საპასუხისმგებლო შეჯიბრებისათვის ევროპის ჩემპიონთა თასზე.

ბრძოლა შეხვედრის პირველსავე წუთებიდან მეტად შეუპოვარ და დაძაბულ ხასიათს ატარებდა. დასაწყისში უპირატესობა ჩვენი გუნდის მხარეს იყო. მან წაიყვანა ანგარიში 5:0, 8:2. მასპინძლები მწვავედ და შედეგიანად უტევდნენ მოწინააღმდეგის კალათს მთელი ხუთეულით. მეშვიდე წუთისათვის ანგარიში გახდა 22:15, ხოლო სულ მალე სხვაობამ 13 ქულას მიაღწია.

პირველი ნახევრის უკანასკნელ წუთებზე სტუმრებმა რამდენიმე სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს და ანგარიშში სხვაობა საგრძნობლად შეამცირეს. ტაიმს ჩვენი გუნდი იგებს 7 ქულის განსხვავებით — 36:29.

ბრძოლის სიმძაფრე არ შენელებულა არც შეხვედრის მეორე ნახევარში. მალე მ. ბაგატის წყალობით მასპინძელთა უპირატესობა მინიმუმამდე დავიდა — 43:41. ამ კრიტიკულ მომენტში ჩვენმა კალათბურთელებმა შეძლეს ძალების მობილიზება და ტემპის გაზრდით მათ კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა. განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა შეხვედრის ბოლო წუთები. უნგრელები გააფთრებით იბრძოდნენ და ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას. მაგრამ მასპინძლებმა მონდომებული თამაშით შეძლეს ინიციატივის შენარჩუნება და მატჩი თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს — 65:61.

• • •

სურათებზე: მომენტები განვლილი მატჩებიდან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ნ. გაფრინდაშვილი არავის ინდობს

ექს-ჩემპიონი პარტიას პარტიაზე აგებს

ტ. პეტროსიანი და ე. გელერი—ყაიმის რეკორდსმენები

III საერთაშორისო

ჯერ არ იყო გასული ორი საათი, რომ ნიკოლაუ-ფინტას შეხვედრა დამთავრდა. იტალიურ პარტიაში უნგრელმა ელემენტარული დაუდევრობა გამოიჩინა ცენტრის მიმართ. ნიკოლაუმ მყისვე ისარგებლა ამით და ყველა ფიგურით დალაშქრა ფინტას მეფის სიმაგრე. ჭარბმა ძალებმა გაიტანეს თავისი — 21-ე სვლაზე ფინტა დანებდა. ასე დაიწყო IV ტური.

კარგად თამაშობდა ტოგონიძე ბულგარეთის ჩემპიონ ასენოვასთან. თბილისელმა ოსტატმა თავისი საყვარელი სადებიუტო სისტემის (ინგლისური დაცვის) გამოყენებით სწრაფად მიიღო უპირატესობა. კონტრთამაშის შექმნის მიზნით ასენოვამ დაასუსტა მეფის ფრთა, რაც საბედისწერო აღმოჩნდა. პირდაპირი იერიშით 31-ე სვლაზე ტოგონიძემ გამარჯვებას მიაღწია.

კვლავ გაიმარჯვა გაფრინდაშვილმა. რუსულ პარტიაში, რომელიც პოლიქრონიადემ აირჩია, მან გამოიყენა ნაკლებად შესწავლილი გაგრძელება. რუმინელი ვერ გაერკვა ახალი გაგრძელების საიდუმლოებაში და მალე დამცველის როლში აღმოჩნდა. გაფრინდაშვილმა 27-ე სვლაზე გაიმარჯვა.

შამეიტატმა და კაკაბაძემ სატურნირო ცხრილში პირველი ნახევარი ქულები ჩაიწერეს. გერმანელმა ოსტატმა ყაიმს მიაღწია ვოიცეკთან შეხვედრაში. კაკაბაძე მეთოდურად ავიწროებდა პოლონეთის ჩემპიონ კონარკოვსკას. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მალე გამოჩნდება მოგების შანსებიც, მაგრამ პოლონელმა შეძლო თამაშის ჩაკეტვა, რის შემდეგ პოზიციის გარღვევა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ამას კაკაბაძემ ყაიმზე შეთანხმება არჩია. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე ხონფინე-იოვანოვიჩისა და კუშნირ-ჩაიკოვსკაიას პარტიები.

გუშინ ტურნირზე გაიმართა V ტური. ყველაზე ადრე ყაიმით დამთავრდა იოვანოვიჩ-ტოგონიძისა და ხონფი-ფინტას შეხვედრები. კონარკოვსკა დამარცხდა კუშნირთან. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

V ტურის შემდეგ წინაა ნ. გაფრინდაშვილი, რომელსაც 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს.



კუნძული კიურასაო, რომელიც დღეს სპორტული სამყაროს ყურადღებას იპყრობს, ჰოლანდიის საკუთრებაა. იგი მდებარეობს კარიბის ზღვაში, ეკვატორის მახლობლად.

მოყვანილ სურათზე აღბეჭდილია კუნძულის მთავარი ქალაქის ვილემშტატის ერთი კუთხე. ვილემშტატი აგებულია ჰოლანდიური სტილით, კუნძულზე 9.000 კილომეტრის საავტომობილო გზაა.

კიურასაოზე ტროპიკული ჰავაა, მაგრამ მშრალი და ჯანმრთელი. ყველაზე ცივი თვეების ტემპერატურა არასოდეს არაა +21 გრადუსზე დაბალი, ხოლო ცხელ თვეებში — +29 გრადუსზე მეტი. კუნძულზე ყოველთვის ქრის სიო ოკეანედან.

სურათზე შეამჩნევთ, რომ კუნძული ღარიბია მცენარეულობით. იგი ძირითადად ბუჩქებითაა დაფარული. მიწადმოქმედება შეუძლებელია ხელოვნური მორწყვის გარეშე. საინტერესოა, რომ კუნძულზე არ მოიპოვება სასმელი წყალი. მას ზღვის წყლისაგან ამზადებს ორი სპეციალური „წყლის ფაბრიკა“. კიურასაოლები მისდევენ მეთევზეობასა და კუს ჭერას.

სამხრეთის ზღვა, სურნელი ჰავა და კარგი გზები უხვად იზიდავს ტურისტებს. მათთვის აქ მრავალი კომფორტაბელური, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასტუმროა.

კიურასაოზე კვებისა და მრეწველობის პროდუქტები ძირითადად სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ.

პრეტენდენტთა ტურნირმა დიდი რეკლამა გაუკეთა კუნძულს. მისი სახელი მოედო მსოფლიოს. საგრძნობლად იმატა ტურისტების რიცხვმა, რომლებიც ისწრაფვიან საკუთარი თვალით ნახონ XX საუკუნის მეორე ნახევრის საჭადრაკო კორიფეები, გამოართვან მათ ავტოგრაფები, გულშემატკივრობა გაუწიონ თავიანთ ფავორიტებს.

ტურნირი კუნძულ კიურასაოზე

დაიწყო გათამაშების მეორე წრე

12 მაისს პრეტენდენტთა ტურნირზე გაიმართა პირველი წრის დამამთავრებელი, VII ტური.

ტურნირის ლიდერი კერესი შეხვდა ფიშერს. ესპანურ პარტიაში, რომელსაც ორივე გროსმაისტერი შესანიშნავად თამაშობს, მეტოქეებმა გამოამჟღავნეს აგრესიული ზრახვები. კერესმა ვერ შეძლო ბრძოლის გათანაბრება. ფიშერის პოზიციური უპირატესობა ნელ-ნელა მატერიალურში გადაიზარდა. ამერიკელმა მოიგო პაიკი. მაგრამ პარტია არ დამთავრებულა. იგი შეწყდა კერესისათვის მეტად მძიმე პოზიციაში.

ტალ-კორჩნოის პარტიაშიც ბრძოლა ესპანელი მღვდლის რუი ლოპეცის დებიუტით დაიწყო. ტალი ენერგიულად ამზადებდა იერიშს შავი მეფის პოზიციაზე. კორჩნოი ფხიზლობდა. იგი მოხდენილად იგერიებდა მუქარებს. მაშინ ტალმა პაიკის შეწირვით გაამახვილა იერიში. მაგრამ მაინც ვერ მიაღწია წარმატებას. 35-ე სვლაზე ტალი დანებდა. პეტროსიანი და ფილიპი 14 სვლაში ყაიმზე შეთანხმდნენ.

დიდი ბრძოლა გამართეს ბენკომ და გელერმა. მაგრამ „შეხლა-შემოხლაში“ თამაში გამარტივდა და დაბოლოებაში გადავიდა. პოზიცია აქაც გაიცხრილა და პარტია გადაიდო მსუბუქი ფიგურების ენდშპილში. მეტოქეებს შვიდ-შვიდი პაიკი და თითო მსუბუქი ფიგურა აქვთ. სპეციალისტების შეფასებით მდგომარეობა თანაბარია.

13 მაისს პრეტენდენტთა ტურნირზე VIII ტურით დაიწყო მეორე წრე. კვლავ წარუმატებლად ითამაშა ტალმა. პეტროსიანთან შეხვედრაში მან უხეში შეცდომით დაკარგა კუ და დანებდა. ეს ტალის მეხუთე დამარცხებაა. ფიშერმა აალო რევანში ბენკოსთან პირველ წრეში დამარცხებისათვის. კერესმა დაამარცხა ფილიპი, ხოლო ყაიმით დასრულდა გელერ-კორჩნოის შეხვედრა.

VIII ტურის შემდეგ პ. კერესს 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ტ. პეტროსიანს — 5 ქულა, ვ. კორჩნოის — 4,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, ე. გელერს — 4 ქულა და ერთი გადადებული პარტია, პ. ბენკოს და რ. ფიშერს — 3 ქულა და თითო გადადებული პარტია თვითეულს, მ. ფილიპს — 2,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია, მ. ტალს — 2 ქულა.

ვ. სმისლოვი დაეწია ლ. პოლუგაევსკის

ჰავანაში (კუბა) გრძელდება გამოჩენილი კუბელი გროსმაისტერის ხ. კაპაბლანკას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 22 მოჭადრაკე მონაწილეობს.

X ტურში პირველი დამარცხება განიცადა გათამაშების ლიდერმა საბჭოთა გროსმაისტერმა პოლუგაევსკიმ, რომელსაც მოუგო გროსმაისტერმა პახმანმა (ჩეხოსლოვაკია). ამ დღეს გროსმაისტერმა სმისლოვმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა იუგოსლაველ გროსმაისტერ მატანოვიჩთან და დაეწია პოლუგაევსკის.

X ტურის შემდეგ ლ. პოლუგაევსკისა და ვ. სმისლოვს 8-8 ქულა აქვთ.

რა ხდება ურუგვაიში

ურუგვაის ფეხბურთელთა ნაკრების დაშლის ამბავი არ ცილდება უცხოეთის გაზეთების ფურცლებს. ახლა, როცა 15 ფინალისტი ძირითადად მზადაა ჩილის ტურნირისათვის, ურუგვაიში იწყება სარეკონსტრუქციო სამუშაოები ნაკრებ გუნდში.

ევროპაში ჩატარებული მატჩების ანგარიში ამ დღეებში მოისმინა ურუგვაის ფეხბურთის ასოციაციამ. მომხსენებელი იყო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ხ. კორასო, რომელიც აქვე იქნა განთავისუფლებული თავისი პოსტიდან. მის ნაცვლად გუნდს უხელმძღვანელებს „ტრიო“: უ. ბაგნულო, რ. სკარონე და ხ. ლოპესი. ახალმა მწვრთნელებმა უნდა მოასწრონ ნაკრების გადახალისება და მომზადება 30 მაისამდე.

ყოველდღიურად იზრდება და მტკიცდება სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მეგობრობა. ამ მხრივ საინტერესოა ჩეხ და ქართველ სპორტსმენთა ურთიერთკავშირი, რომელსაც საფუძველი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩაეყარა.

სწორედ ამ სპორტსმენთა მეგობრობაზე მოგვითხრობს ჩეხურ ჟურნალში („ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორია და პრაქტიკა“, № 2, 1962 წ) გამოქვეყნებული ვასილ ელაშვილისა და ამირან ცამციშვილის წერილი „საქართველოს და ჩეხოსლოვაკიის სპორტული თანამეგობრობიდან“. ავტორები ჩეხოსლოვაკელ მკითხველებს აცნობენ ორი ერის სპორტსმენთა ურთიერთმეგობრობის ისტორიას, აღნიშნავენ ჩეხოსლოვაკელ მასწავლებელ-მწვრთნელთა ღვაწლს საქართველოში სპორტული ტანვარჯიშის განვითარების საქმეში.



ქართველი მკვლევარების ნაშრომი ჩეხოსლოვაკურ ჟურნალში

ჩეხი „სოკოლებიდან“ საქართველოში, 1889 წ. თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში პირველად მოიწვიეს ტანვარჯიშის მასწავლებელი ი. გრუმლიკი. 1892 წელს ამავე გიმნაზიაში სპორტული ტანვარჯიშისა და ფარიკაობის მასწავლებლად პრაღიდან ჩამოვიდა ბ. პეტუჩეკი, რომელმაც საქართველოში 1896 წლამდე დაჰყო.

1896 წელს საქართველოში მოღვაწეობას შეუდგა ცნობილი ანტონ ლუკეში. მისი სპორტული საქმიანობა საქართველოში 23 წელს გაგრძელდა. ლუკეშის ინიციატივით თბილისში ჩამოყალიბდა „სოკოლის“ სპორტული საზოგადოება. 1909 წელს თბილისელებმა ოფიციალურად მიიღეს ნებართვა ეტარებინათ ჩეხური „სოკოლის“ ფორმა. ჩეხურ ჟურნალში დაბეჭდილი სტატია გვაცნობს, რომ საქართველოში ჩეხები პრაქტიკული მოღვაწეობის გარდა სპორტულ პროპაგანდასაც ეწეოდნენ. მათ გადმოაქართულეს მთელი რიგი სპორტული ლიტერატურა, ამასთან, ანტონ ლუკეში ზრუნავდა რუსულ და ქართულ ენებზე სპორტული ტერმინოლოგიის შედგენისათვის.

სტატიაში ლაპარაკია გ. ეგნატაშვილზე, გ. ბერელაშვილზე, ე. გონელზე, ს. ნანეიშვილზე, პ. ნიჟარაძეზე, თ. ნიკოლაძეზე, გ. ნიკოლაძეზე, რომლებიც წარმატებით გამოვიდნენ „სოკოლის“ შეკრებაზე 1912 წელს პრაღაში. ვ. ელაშვილი და ა. ცამციშვილი მოგვითხრობენ, თუ როგორი როლი ითამაშეს ჩეხებმა საქართველოში ფეხბურთის დანერგვასა და გავრცელებაში, თუ როგორ ჩამოაყალიბეს 1906 წელს პირველი არაოფიციალური ფეხბურთელთა გუნდი „კომეტა“.

ჩეხოსლოვაკელი სპორტსმენები თბილისს გარდა მოღვაწეობდნენ ქუთაისში (ბლაჟეკი), ბათუმში (კოუბა) და სხვ.

როგორც გამოქვეყნებული შრომიდან ჩანს, ჩეხოსლოვაკელ სპორტსმენებს უდაოდ დიდი შრომა გაუწევიათ საქართველოში ტანვარჯიშის დანერგვისა და განვითარების საქმეში.

ღვაწლმოსილ ქართველ და ჩეხ სპორტსმენთა გულწრფელ მეგობრობაზე მეტყველებს ანტონ ლუკეშის სიტყვა, რომელიც მას სამშობლოში გამგზავრებისას წარმოუთქვამს: „თვალცრემლიანი და გულდამწვარი ვემშვიდობები საყვარელ ადგილს, რომელიც ჩემს მეორე სამშობლოდ გადაიქცა. მოხარული ვიქნებოდი კიდევ მემუშავნა ჩემი საყვარელი საქმის, ღვიძლი სკოლის სასარგებლოდ და ასაყვავებლად“.

ძველი თაობის სპორტსმენთა ურთიერთობის სფერო დღეს უზომოდ გაიზარდა და ქართველი და ჩეხოსლოვაკელი ხალხების მარადიულ ურღვევ მეგობრობად გადაიქცა.

დ. ცინცაძე

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის ხუთშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09. გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04053